




ნეგატიურად აისახებოდა გარემოზე. შესაბამისად განხილვის საგანს პროექტირების ეტაპზე წარმოადგენდა ორკამერიანი და სამკამერიანი სალექარების უპირატესობების შედარება. ორკამერიანი სალექარის შემთხვევაში  $4 \text{ მ}^3/\text{წმ}$  ხარჯის გატარების უზრუნველსაყოფად საჭირო გახდა სალექარის სიმაღლის გაზრდა, რაც თავის მხრივ ზრდის როგორც წყალმიმღების ძირის, აგრეთვე ყველა სხვა სათავე ნაგებობაში შემავალი კონსტრუქციების დონეებს, რის შედეგადაც ავტომატურად იზრდება წყლის სარკის ზედაპირის ფართობი სათავე ნაგებობის ზედა ბიეფში. ეს კი წარმოადგენს გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების წყაროს. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე გადაწყდა სამკამერიანი სალექარის მოწყობა, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა სათავე ნაგებობის კონსტრუქციების სიმაღლე და შეადგინა მდინარის ზედაპირიდან  $4.4 \text{ მ}$ . აგრეთვე საგრძნობლად შემცირდა სათავე ნაგებობის ზედა ბიეფში წარმოქმნილი სარკის ზედაპირის ფართობიც.

რაც შეეხება სალექარის კამერების რაოდენობისა და ძალურ კვანძში განთავსებული ორი ჰიდროაგრეგატის ფუნქციონირების საკითხს, ეფექტური ოპერირებისათვის სალექარის სამივე კამერა ერთიანდება შემკრებ კამერაში, რის შედეგადაც ნაკადი მიემართება სადერივაციო მილსადენში (იხ. ნახაზი 2).

**ნახაზი 2** - ბაზვი 1 ჰესი, სალექარი და შემკრები კამერა



როგორც ნახაზი 2-ზე ჩანს, სალექარის თითოეული კამერისათვის განისაზღვრა ინდივიდუალური რეცხვის შესაძლებლობა ფარების საშუალებით, რაც საპროექტო ხარჯის  $4 \text{ მ}^3/\text{წმ}$ -ის მოძინების პერიოდში ერთი კამერის რეცხვის შემთხვევაში ჰესის 66%-ით დატვირთვის საშუალებას იძლევა განსხვავებით ორკამერიანი სალექარისაგან, რომელიც უზრუნველყოფს 50%-ის გატარების შესაძლებლობას. აგრეთვე გასათვალისწინებელია შემკრები კამერის ფუნქციური

დატვირთვა, რომელიც სრულად ხსნის აგრეგატებსა და თითოეულ სალექარის კამერას შორის პირდაპირ კავშირს და საშუალებას გვაძლევს რეცხვა განხორციელდეს სხვადასხვა რეჟიმში.

შესაბამისად ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე მიღებული საპროექტო გადაწყვეტილება ოპტიმალურია როგორც გარემოზე ზემოქმედების, ასევე ტექნიკური და ჰესის ოპერირების კუთხით.